ისევ მარცხი

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 12 ოქტომბერი.

“ტორპედო” (მოსკოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 2:1 (2:1).

“ტორპედო”: ბანიკოვი, იანეცი, პახომოვი, სალიგა, იურინი, შუსტიკოვი, ლენიოვი, პაისი, შალიმოვი, გერშკოვიცი, ნიკონოვი (აბრამოვი).

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

მსაჯი: გ. ალოვი (ლენინგრადი).

დუბლიორები _ 1:0 “ტორპედოს” სასარგებლოდ.

ორმხრივ იერიშებს კარგა ხანს შედეგი არ მოჰყოლია. ანგარიში გაიხსნა მაშინ, როცა მას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. კუტივაძემ მინდვრის ცენტრში ჩაიგდო ბურთი, სწრაფად დაიძრა წინ... ამ დროს მას უხეშად ეთამაშნენ. ჯარიმა: კუტივაძემ შორი მანძილიდან ყუმბარისებური დარტყმით აიღო კარი. სტუმრებმა ტემპს უმატეს, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი მიღწეულს არ დასჯერდებოდნენ. ნუთუ ნავსი გატყდა და თბილისელები წლევანდელ სეზონში პირველ მოგებას სტუმრად ტორპედოელებთან იზეიმებენ? მაგრამ იმედი არ გამართლდა. ტაიმის ბოლოს, სულ რაღაც 3 წუთში, ჯერ იურინმა აღადგინა წონასწორობა, მერე კი შალიმოვმა თავური დარტყმით დააწინაურა “ტორპედო” _ 2:1.

შესვენების შემდეგ მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ ანგარიშის გაზრდის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა, მაგრამ საბოლოო დარტყმები ხან უზუსტო იყო, ხან კი სტეფანია თამაშობდა მარჯვედ. მეტად საჭირო ორი ქულის დაკარგვის საფრთხის წინაშე დამდგარი თბილისელები, თითქმის მთელი მეორე ტაიმის მანძილზე დუნედ, ძალიან ნელ ტემპში თამაშობდნენ. შეხვედრის ბოლოს სტუმრები თითქოს გამოფხიზლდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 14 ოქტომბერი, 1970 წ.